საქართველო

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## გარემოს ეროვნული სააგენტო

### ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია

№ 1000046

201 5 წლის „ 07 " „ მაისი "
(ლიცენზიის უწყვეტრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს "ჯეკი" - ზე ს/კ 424 068 644;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 07 მაისის №611/ს ბრძანება;

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს №64;68;69 კვარტლები, ფართობით - 406 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა:
განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 07 მაისის №611/ს ბრძანებით;

სალიცენზიო პირობები:

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 07 მაისის №611/ს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 27 ოქტომბრის №1-1/2388 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 აგვისტოს №1-1/1361 ბრძანებებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 20 წელი, 07.05.2015 დან 28.10.2028 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს"
უფლებამოსილი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)
ბ.ა.

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და ვიღებ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე.

(ხელმოწერა)
ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ფორმა"
სფს-ს რეგისტრაციის №23-4003

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**გარემოს ეროვნული სააგენტო**

KARR0131029324815

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 611/ს

**07 / მაისი / 2015 წ.**

**შპს "ფათათი"-ზე (ს/კ 222720214) 13.08.2010წ. გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური №100073 ლიცენზიის შპს "ჯეკი"-ზე (ს/კ 424068644) მთლიანად გადაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, "ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2015 წლის 28 აპრილის DES 6 15 00020783 და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2015 წლის 15 აპრილის №07/7132 წერილების, "ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მთლიანი გადაცემის შესახებ" შპს "ფათათი"-სა და შპს „ჯეკი"-ს შორის გაფორმებული 16.03.2015წ. ხელშეკრულებისა და შპს "ფათათი"-სა და შპს „ჯეკი"-ს 2015 წლის 16 მარტის განცხადებების (სააგენტოში შემოსვლის №2137; №2138 16.03.2015წ.) საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს "ფათათი"-ზე (ს/კ 222720214) 13.08.2010წ. გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური №100073 ლიცენზია მთლიანად გადაეცა შპს "ჯეკი"-ს (ს/კ 424068644) 2028 წლის 28 ოქტომბრამდე სარგებლობის უფლებით - სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს №64;68;69 კვარტლები, ფართობით - 406 ჰა. (საექსპლუატაციო ფართობი - 48 ჰა.);

2. ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი რესურსის პროგნოზული წლიური მოცულობა განისაზღვროს: მთავარი სარგებლობის ჭრით, წიწვოვანი (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) - 300 კუბ. მეტრი;

3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სალიცენზიო მოწმობის შპს „ჯეკი" - ზე გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად;

4. დაევალოს შპს „ჯეკი"-ს "ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 17 ნოემბრის №ი-586 ბრძანებით დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და მოთხოვნების დაცვა;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. N6) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — გიეი ჩოჩია